ირაკლი ფაღავა
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფულადი მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში - დამატებითი ცნობები*

აბსტრაქტი

ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია ამ ქართული სახელმწიფოს *ეკონომიკური* ისტორიის შესწავლაც. ამ ქართული სახელმწიფოს ეკონომიკის შესასწავლად ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან, ობიექტურ და *რაოდენობრივ* პირველწყაროდ ნუმიზმატიკური მონაცემები გვევლინება. აუცილებელია შესაბამისი განძებისა (და ცალკეული მონეტების) პოვნის ფაქტების შეძლებისდაგვარად ზუსტი და სრული აღრიცხვა, როგორც შემდგომი მეტა-ანალიზის აუცილებელი წინამორბედი ეტაპი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია 1744-1801 წლების ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიის, კერძოდ, ფულადი მიმოქცევის შესასწავლად ახალი პირველადი მასალის გამოქვეყნება და წინასწარი ანალიზი. ნაშრომში განხილულია XVIII საუკუნის ბოლო მესამედის - XIX საუკუნის პირველი ათწლეულების რვა სამონეტო კომპლექსი. მათ აერთიანებს ფორმირებისა და, შესაბამისად, მათში შემავალი მონეტების მიმოქცევის ტერიტორია - ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული ქართლ-კახეთი. რვა კომპლექსიდან ხუთი ნაწილობრივ ან ექსკლუზიურად ეროვნული ქართული (ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი) მონეტებისგან შედგება; სამი კი - რუსეთიდან იმპორტირებული რუსეთის იმპერიის მონეტებისგან.

საკვანძო სიტყვები: *ქართლ-კახეთის სამეფო, სირმა თეთრი, ქართული ნუმიზმატიკა, ფულადი მიმოქცევა, განძი, მეტა-ანალიზი*

ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ანალიზი შეუძლებელია ამ ქართული სახელმწიფოს *ეკონომიკური* ისტორიის შესწავლის გარეშე. საბედნიეროდ, საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიის წინარე პერიოდებთან შედარებით, ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკის შესასწავლად შედარებით მეტი წყაროა შემორჩენილი. ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან, ობიექტურ და *რაოდენობრივ* პირველწყაროდ ნუმიზმატიკური მონაცემები გვევლინება.

ამისთვის კი აუცილებელია შესაბამისი განძების (და ცალკეული მონეტების) პოვნის ფაქტების შეძლებისდაგვარად ზუსტი და სრული აღრიცხვა, როგორც

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით - ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო გრანტი YS-21-2879: ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია.

შემდგომი მეტა-ანალიზის აუცილებელი წინამორბედი ეტაპი. აღნიშნულ სამუშაოს ბოლო 15 წლის განმავლობაში უწყვეტად ვაწარმოებთ; მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი მონაცემების შეძლებისდაგვარად დროული პუბლიკაცია.

წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ ამოცანას ემსახურება: ჩვენი **მიზანია**, გავაგრძელოთ 1744-1801 წლების ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიის კვლევა, კერძოდ, ამ ქართული სახელმწიფოს ფულადი მიმოქცევის შესწავლა;[1] კერძოდ, შესაბამისი პირველადი მასალის გამოქვეყნება და წინასწარი ანალიზი.

წარმოვადგენთ XVIII საუკუნის ბოლო მესამედის - XIX საუკუნის პირველი ათწლეულების რვა სამონეტო კომპლექსს. მათ აერთიანებს ფორმირებისა და, შესაბამისად, მათში შემავალი მონეტების მიმოქცევის ტერიტორია - ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული ქართლ-კახეთი. ამ რვა კომპლექსიდან ხუთი ნაწილობრივ ან ექსკლუზიურად ეროვნული ქართული (ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი) მონეტებისგან შედგება; სამი კი - რუსეთიდან იმპორტირებული, რუსეთის იმპერიის მონეტებისგან.

ამ სამონეტო კომპლექსების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია მეტწილად სოციალური ქსელებით გავრცელდა და მპოვნელთა თუ გამყიდველთა გადმოცემას ეფუძნება. მონეტების შემდგომი ბედი და დღევანდელი ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია. უფრო ზუსტი ინფორმაციის არქონის გათვალისწინებით, იძულებულნი ვართ მივუთითოთ სამონეტო კომპლექსის აღმოჩენის მხოლოდ მიახლოებითი ადგილი. ამავე მიზეზით, გამოსახულებები, რომელთა მოპოვებაც შევძელით, ზოგჯერ იმდენად მდარე ხარისხის იყო, რომ მათი რეპროდუცირება არამიზანშეწონილად ჩავთვალეთ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებულნი ვართ, ამ სამონეტო კომპლექსების შესახებ ინფორმაციის პუბლიკაცია-გათვალისწინება მაინც ხელს შეუწყობს რეგიონში ფულადი მიმოქცევის შესწავლის საქმეს.

აღსანიშნავია, რომ რვიდან ორი კომპლექსი აქამდე უკვე გამოქვეყნდა - მოგვყავს მხოლოდ ახალი ინფორმაცია მათ შესახებ; დანარჩენი ექვსი კი პირველად ქვეყნდება.

მოგვყავს რვავე სამონეტო კომპლექსის აღწერილობა. თითოეულს შესაბამისი ანალიზი დაერთვის.

სამონეტო კომპლექსი I: სირმა თეთრის განძი მანავიდან

2019 წელს თეზისების სახით ირაკლი ფაღავამ გამოაქვეყნა ქართლ-კახეთის სირმა მონეტების[2] ორი განძი; მათ შორის ერთ-ერთი მანავიდან.[3] ამ სამონეტო

---

[1] ფაღავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 224-243.

[2] სირმა მონეტების შესახებ იხ. იქვე, 122-125.

[3] ირაკლი ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Irakli Paghava, "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)", *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი. მოხსენებათ თეზისები / International Congress of Caucasian Studies. Abstracts. თბილისი / Tbilisi, 3-5/X/2022* ([თბილისი:] ივანე

კომპლექსის შემადგენლობის დეტალური ანალიზი, სხვა მსგავს განძებთან შედარებითი ანალიზის შედეგებთან ერთად, შევიდა იმავე ავტორის 2023 წლის მონოგრაფიაში.[4] „მანავის ციხის მიდამოებში“ შემთხვევით აღმოჩენილი განძიდან ავტორისთვის ცნობილი გახდა 116 ვერცხლის მონეტა, რომელიც უკლებლივ ყველა თბილისის ზარაფხანის გამოშვებულ, ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილ სირმა *აბაზს* წარმოადგენდა.[5] ავტორმა ივარაუდა, რომ ეს რიცხვი შეადგენდა განძის მონეტების საერთო რაოდენობის „60%“-ს.[6] ეს სამონეტო კომპლექსი XIX საუკუნის მონეტებს საერთოდ არ შეიცავდა, და, ამრიგად, XVIII საუკუნის დასასრულით დათარიღდა.[7]

მოხერხდა ამ განძის შესახებ დამატებითი ცნობების შეგროვება:

განძის მონეტები მიმოფანტული ყოფილა მანავის ციხისკენ მიმავალი ახალმოწყობილი გზის გაყოლებაზე, მინიმალურ სიღრმეზე, ფაქტობრივად, მიწის ზედაპირზე; რაიმე ჭურჭლის ნარჩენები, გადმოცემით, არ ჩანდა. როგორც ჩანს, შესაბამისი ჭურჭელი გატყდა გზის მოწყობის პროცესში (ან გაიხრწნა, თუ ორგანული მასალისგან იყო დამზადებული), მასში შემავალი მონეტები კი გაიბნა.

განძი სულ შეიცავდა არა 116, არამედ 200-ზე მეტ მონეტას (300-მდე?); აქედან 2 წარმოადგენდა მსხვილ ნომინალს - სირმა აბაზნახევრიანს (ნახევარმარჩილს), ყველა დანარჩენი კი სირმა აბაზიანი იყო. ამრიგად, მისი შემადგენლობა უფრო კომპლექსური ყოფილა. ამასთანავე, როგორც ჩანს, პირველადი პუბლიკაციის ავტორისთვის ცნობილი მონეტები მეტ-ნაკლებად შემთხვევით, რანდომულ ამონარჩევს წარმოადგენდა, და, აქედან გამომდინარე, მაინც იძლევა თითქმის სრულფასოვან წარმოდგენას განძის შემადგენლობაზე.

სამონეტო კომპლექსი II: სირმა თეთრის განძი დუშეთის მიდამოებიდან

2024 წლის გაზაფხულზე გვაჩვენეს 18 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი სამონეტო კომპლექსი. გადმოცემით, ეს მონეტები ოჯახში ინახებოდა (ათწლეულების წინ დუშეთის მიდამოებში უპოვიათ).

ყველა მონეტა კარგად ცნობილი, სირმა ტიპის აბაზიანი ყოფილა (სურ. 2.1-2.18). კომპლექსში შედიოდა შემდეგი წლის მონეტები: ჰ. „119“ (1190?) (სურ. 2.1, 3.01 გ), 1191 (სურ. 2.2, 2.99 გ), 1193 (სურ. 2.3, 2.88 გ), 1201 (სურ. 2.4, 3.02 გ), 1202 (?) (სურ. 2.5, 2.84 გ), 1205 (სურ. 2.6, 3.01 გ), 1207 (3 ეგზ., სურ. 2.7, 2.56; სურ. 2.8, 2.89; და სურ. 2.9, 3.00 გ), 1210 (სურ. 2.10, 2.73 გ), 1211 (7 ეგზ., სურ. 2.11, 2.75; სურ. 2.12, 2.76; სურ. 2.13, 2.84; სურ. 2.14, 2.97; სურ. 2.15, 2.98; სურ. 2.16, 3.01; სურ. 2.17, 3.05 გ), 1213 (სურ. 2.18, 2.87 გ). განძის ჯამური წონაა 52.16 გ.

ყველაზე ადრეული მონეტა ჰ. 1190 ან 1191 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი კი ჰ. 1213 წლით (1798/9). სამონეტო კომპლექსის ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულს არის საგულისხმო, რაც ტიპიურია.[8]

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022), 94, 206.

[4] ფაღავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 230.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] იქვე, 260-261.

ეს განძი ქართლ-კახეთის სამეფოსთვის დამახასიათებელ სამონეტო კომპლექსს წარმოადგენს: ის შედგება ექსკლუზიურად სირმა მონეტებისგან, კერძოდ, აბაზიანებისგან. დღეისთვის ამგვარი უკვე მრავალი სხვა განძიცაა ცნობილი (I ჯგუფის განძები).[9] ყველა მათგანი, ირაკლი ფაღავას კლასიფიკაციით *სტანდარტულ ეკონომიკურ დეპოზიტს* წარმოადგენს: „ამ კომპლექსების მფლობელს ჩაფიქრებული ჰქონდა, გადაენახა მეტ-ნაკლებად არსებითი თანხა; რომელიც შედგებოდა სირმა აბაზიანებისგან, ანუ, (ხელმისაწვდომი მონეტებიდან საგანგებოდ ამორჩეული?) ყველაზე გავრცელებული, წამყვანი, ლიკვიდური, შინაგანი ღირებულების მქონე (ძვირფასი ლითონის - ხალასი ვერცხლის) საფასისგან; მფლობელი გეგმავდა შემდგომში განძის ამოღებას თანხის საჭიროებისამებრ მოხმარების მიზნით. ესენია შედარებით *ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები*, მთლიანად შედგენილი ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ წლებში, და ასახავენ *ქართლ-კახეთის სამონეტო მიმოქცევას XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში*“.[10]

შემადგენლობით დუშეთის განძის ემსგავსება ბოლნისისა და ლალაქენდის კომპლექსებს: სამივეში გვიანდელი მონეტები ჭარბობს; ამ შემთხვევაშიც სახეზეა ჰ. 1207 და 1211 წლებით დათარიღებული აბაზიანების მაღალი ხვედრითი წილი[11] (ეს, დიდი ალბათობით, აღნიშნულ წლებში თბილისის ზარაფხანის უფრო აქტიურ საქმიანობაზე მიუთითებს).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს განძის შემადგენლობაში შემავალი რამდენიმე ეგზემპლარი:

- თავისებურია ჰ. „119“ წლით დათარიღებული ცალის (სურ. 2.1) ლეგენდების კალიგრაფია („თბილისისა“ და „9“-ის მოყვანილობა), შეცდომაა ინვოკაციაში, უცნაურია და არატიპიურია მცენარეული ორნამენტები რევერსზე; ამასთანავე, მონეტის წონა იდეალურია - 3.01 გ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ეგზემპლარი მინაბაძია; სამწუხაროდ, მონეტის სინჯის შესწავლა შეუძლებელი იყო;
- ასევე თავისებურია „1202“ წლით დათარიღებული ცალის (სურ. 2.5) ლეგენდების კალიგრაფია („თბილისისა“ და მეორე „2“-ის მოყვანილობა); ზურგის მცენარეული ორნამენტები ასევე რამდენადმე არატიპიურად გვეჩვენება. წონა 2.84 გრამია. სიქების სამომავლო ანალიზი, სავარაუდოდ, დაგვეხმარება დადგენაში, ეს ეგზემპლარი თბილისის ზარაფხანის ნაწარმს წარმოადგენს თუ არა;
- „1207“ წლით დათარიღებული ერთ-ერთი ეგზემპლარი (სურ. 2.7) აშკარად იმდროინდელ ნაყალბევს წარმოადგენს: მონეტის ზედაპირზე აღინიშნება სხმულისთვის დამახასიათებელი ნიჟარები; წარზიდული ელემენტების რელიეფი არ არის მკვეთრი; წონა ანომალურად დაბალია - 2.56 გ. დასადგენია შენადნობის რაობა. უნდა ითქვას, რომ თანადროული, ჩამოსხმული სირმა აბაზიანები აქამდე არ შეგვხვედრია.

[9] იქვე, 229-233, 246-247.
[10] იქვე, 246-247.
[11] იქვე, 256-260, დიაგრამა 5-6.

სამონეტო კომპლექსი III: სამკაულიდან ჩამოხსნილი სირმა აბაზიანების კომპლექსი (*ოქროს ბირჟის განძი*)

2023 წლის შემოდგომაზე ქ. თბილისის ძვირფასი ლითონისა და ძვირფასი ლითონის სამკაულების სავაჭრო ცენტრში (ე. წ. „ოქროს ბირჟაზე“) გასაყიდად ჩაუბარებიათ 25 ვერცხლის მონეტა; თითოეულ მათგანზე ცალ მხარეს არაძვირფასი ლითონის ორ-ორი რგოლი იყო მირჩილული, რამაც მონეტა უფრო ღილად თუ სამკაულის ნაწილად გარდაქმნა. ყველა მონეტა წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა აბაზს. სამწუხაროდ, თარიღები მონეტების უმრავლესობაზე არ ჩანდა (მონეტების გაცვეთილობის, მირჩილვისა და ფოტოების უხარისხობის გამო); დავაფიქსირეთ მხოლოდ ჰიჯრის შემდეგი თარიღები (თითო-თითო ეგზემპლარზე): 1191?, 1193, 1201, 1204?, 1210?. კომპლექსის ფორმირება XVIII საუკუნის დასასრულისთვის არის სავარაუდო.

თავისი შემადგენლობით - (სამკაულად თუ უფრო ღილად) გადაკეთებული სირმა აბაზიანები - ეს ე. წ. „სირმების ოქროს ბირჟის კომპლექსი“ იდენტურია კიდევ ორი, *კოჯრის II* და *ერევნის II* კომპლექსებისა.[12] სამივე კომპლექსი წარმოდგენილია სირმა აბაზიანებით (ერევნის II კომპლექსში ერთადერთი მონეტა სირმა აბაზის ტიპის განჯის აბაზიანს წარმოადგენდა); მირჩილული ელემენტებითა თუ მირჩილვის კვალით; სამივე შემთხვევაში მირჩილვით არა ყურანული ფორმულის მატარებელ, არამედ მოპირდაპირე მხარეს - 100% *ერევნის II* და *ოქროს ბირჟის*, 94.4% *კოჯრის II* კომპლექსის შემთხვევაში. ბუნებრივია, ეს ციფრები გამორიცხავს შემთხვევითობას; - „ხელოსანი ან მისი მუშტარი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, და ღილებიც (?) ყურანული ფორმულის გამოსაჩენად იყო გამიზნული. შესაძლოა, ამგვარი ნაკეთობები უფრო მაჰმადიანურ მოსახლეობაში იყო გავრცელებული.“[13] სამივე კომპლექსი მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ძეგლად გვევლინება. სირმა აბაზიანების ღილებად (სამკაულად?) გადაკეთებას, სავარაუდოდ, განაპირობებდა მათი 1) ხელმისაწვდომობა, 2) ძვირფასი ლითონის შემადგენლობა (მაღალი სინჯის ვერცხლი), და 3) არაბული ზედწერილის შინაარსი (ყურანული ფორმულა) და ვიზუალური მოხდენილობა.

ისევე როგორც კოჯრის II განძის შემთხვევაში, ვთვლით, რომ *ოქროს ბირჟის კომპლექსიც* ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკურ ისტორიას ასახავს; სავარაუდოდ, ამავე ქართულ სახელმწიფოში არის ფორმირებული.

სამონეტო კომპლექსი IV: სამონეტო კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოდან („უპასპორტო IV”)

2023 წელს თბილისის ანტიკვარულ ბაზარზე გავეცანით გასაყიდად გამოტანილ რამდენიმე ვერცხლის მონეტას. პატინისა და ინკრუსტაციების არსებობისა და იდენტურობის საფუძველზე მათ ერთი და იმავე სამონეტო კომპლექსის ნაწილად მივიჩნევთ.

[12] იქვე, 230-231, 234.
[13] იქვე, 261.

კომპლექსის შემადგენლობაში შედიოდა 6 მონეტა: 2 სირმა აბაზიანი, აქედან 1 თარიღით ჰ. „12...?“ (სურ. 4.1, 3.09 გ) და 1195 წლების (სურ. 4.2, გახვრეტილი, 2.87 გ), სირმა შაური, თარიღის ბოლო ციფრით „7“ (სურ. 4.3, ფრაგმენტი, 0.49 გ); ოსმალეთის იმპერიის წვრილი ნომინალის გაურკვეველი მონეტა (სურ. 4.4, 0.61 გ); რუსეთის იმპერიის, ეკატერინე II-ის გრივენნიკი, 1774 წლის (სურ. 4.5, 1.48 გ); შირვანის გვიანდელი ვერცხლის მონეტა, ჰიჯრის 93[7] წლის (სურ. 4.6, დეფექტური - სამონეტო ნამზადზე თარიღის მოპირდაპირე მხარე ნაკრავია სიქაში ჩაჭედილი წინა მონეტის თარიღიანი ზედაპირით, ე.წ. brockage, 0.68 გ). *შემორჩენილი* მონეტების ჯამური წონაა 9.22 გ.

ყველაზე გვიანდელი მონეტა, რომელზედაც თარიღი იკითხება, არის ჰ. 1195 წლის სირმა აბაზიანი (=1780/1). XIX საუკუნის მონეტები კომპლექსში არ არის. კომპლექსის ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულისთვის არის საგულისხმო.

თავისი შემადგენლობით ეს სამონეტო კომპლექსი ძალიან ემსგავსება *მთიანეთის I*, ასევე *მთიანეთის II* და *ფშაველის* განძებს.[14] მათ შემდეგი საზიარო მახასიათებლები აქვთ:[15]

ქრონოლოგიური არაკომპაქტურობა - ამ კომპლექსშიც შესულია არა მარტო XVIII საუკუნის ბოლო მესამედისა და დასასრულის ქართული (ქართლ-კახეთის სამეფოს სირმები) და რუსული ვერცხლის მონეტები, არამედ ასევე ბევრად უფრო ადრეული მონეტები; კერძოდ, ამ ახალ კომპლექსში ამგვარია შირვანის მონეტა; როგორც ჩანს, ოსმალური ვერცხლიც.

ტიპოლოგიური არაერთგვაროვნება: ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო მესამედში ტეზავრირებული, პრაქტიკულად ექსკლუზიურად სირმა თეთრისგან შემდგარი განძებისგან განსხვავებით, სამივეში სირმა მონეტების ხვედრითი წილი 100%-ზე ბევრად ნაკლებია: მხოლოდ 50% რაოდენობით და 70% წონით (6.45/9.22 გ).

მცირე ნომინალების მაღალი ხვედრითი წილი: ამ ახალ განძში 6 მონეტიდან 4 შედარებით დაბალწონიანია (66.7%), აქედან სამის წონა 1 გრამზე ბევრად ნაკლებია. ტიპიურ შემთხვევებში, სირმა აბაზიანები განძებში სხვა, ნაკლები ნომინალისა და წონის მონეტებს მინიმალურად თუ ერევა.

დაზიანებული მონეტების მაღალი ხვედრითი წილი: გახვრეტილია ან ფრაგმენტირებულია 6-დან 2 მონეტა (33.3%) (რაც ასევე უჩვეულოა ამ პერიოდის, უპირატესად სირმა აბაზიანებისგან შემდგარი განძებისთვის).

აღნიშნული მახასიათებლებით, *უპასპორტო IV* განძი, ისევე როგორც *მთიანეთის I*, *მთიანეთის II* და *ფშაველის* განძები თავისი ბუნებითა და დანიშნულებით გამორჩეულია, და სამონეტო კომპლექსების განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება. *უპასპორტო განძი IV*-ც - ირაკლი ფაღავას კლასიფიკაციით, *ეთნოგრაფიულ-რელიგიურ სამონეტო კომპლექსს წარმოადგენს*.[16] ძალიან სამწუხაროა, რომ ამ კომპლექსის აღმოჩენის (არქეოლოგიური) კონტექსტი უცნობი დარჩა.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მონეტების აკუმულაცია მაინც ქართლ-კახეთის სამეფოში წარმოებდა; ოთხივე სამონეტო კომპლექსი, მათი

[14] იქვე, 231-233.
[15] იქვე, 244-246.
[16] ამგვარი კომპლექსების შესახებ იხ. იქვე, 247.

შინაგანი ბუნების მიუხედავად, მაინც ფულის ლოკალურ მიმოქცევას ასახავს; ესენი ეკონომიკური ისტორიის ძეგლებიცაა (შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილობრივად სამონეტო მიმოქცევის ამსახველი *ხანგრძლივი დაგროვების სამონეტო კომპლექსებია*).[17]

სხვათა შორის, ამ სამონეტო კომპლექსითაც დასტურდება 1783 წლის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული გრივენნიკების, ჩანს, შედარებით ინტენსიური შემოტანა[18] (მიზეზები: 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდგომ რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის კონტაქტების ინტენსიფიკაცია? 1784 წლიდან სანქტ-პეტერბურგის ზარაფხანაში წვრილი ვერცხლის ნომინალების უფრო ინტენსიურად გამოშვება[19]).

სამონეტო კომპლექსი V: ირაკლი II-ის 1796 წლის ფულების უპასპორტო განძი

2020-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილასა და გარემოებებში უპოვიათ სპილენძის მონეტებისგან შემდგარი კომპლექსი: ყველა მონეტა ირაკლი II-ის 1796 წლით დათარიღებულ ბისტებსა და ნახევარბისტებს წარმოადგენდა, ერთთავიანი არწივის გამოსახულებით. მოკლე ცნობა ამ სამონეტო კომპლექსის შესახებ უკვე გამოქვეყნებულია.[20]

დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ, გადმოცემით, განძი ამგვარი მონეტების სულ დაახლოებით 15-25 ეგზემპლარს მოითვლიდა.

საყურადღებოა, რომ სხვა ტიპის მონეტები ამ სამონეტო კომპლექსში არ შედიოდა. განძის ტეზავრაცია 1790-იანი წლების დასასრულით უნდა დათარიღდეს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე.

სამონეტო კომპლექსის ძირითადი მახასიათებელი მისი ერთგვაროვნებაა: ექსკლუზიურად - ერთი სახელმწიფოს მიერ ემიტირებული; სპილენძის; ერთი და იმავე (1796 წელს შემოღებული) ტიპის ფულების ერთობლიობაა.

განძის შემადგენლობა მიუთითებს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ეროვნული საფასის დომინირებაზე; ამასთანავე, სპილენძის ფულის პერიოდულ განახლებაზე (renovatio monetae), ვინაიდან სხვა (უფრო ადრეული) სამონეტო ტიპის მონეტები განძში წარმოდგენილი არ არის; შესაძლოა, ასევე, ვერცხლისა და სპილენძის საფასის მეტ-ნაკლებად განცალკევებულ მიმოქცევაზე.

ფულის განახლების საშიშროების გათვალისწინებით, მოსახლეობა, ჩანს, ერიდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტების ტეზავრაციას.[21] ამრიგად, ეს უპასპორტო სამონეტო კომპლექსი შეიძლება ულტრახანმოკლე დაგროვების განძად წარმოვიდგინოთ.

---

[17] იქვე.

[18] იქვე, 246.

[19] Василий Узденников, *Обьем чеканки российских монет на отечественных и зарубежных монетных дворах. 1700-1917* (Москва: Малая Медведица, 1995), 41.

[20] ირაკლი ფაღავა, „ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)“, *History, Archaeology, Ethnology. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია,* XI (2024), 750.

[21] იქვე, 750-751.

სამონეტო კომპლექსი VI: რუსეთის იმპერიის ხუთკაპიკიანების განძი ახმეტის მუნიციპალიტეტიდან

2024 წლის ზაფხულში ახმეტის მუნიციპალიტეტში დაუზუსტებელ ადგილას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პროცესში შემთხვევით უპოვიათ 8 სპილენძის მონეტისგან შემდგარი პატარა განძი. ყველა მათგანი წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის, კერძოდ, ეკატერინე II-ის მიერ გამოშვებულ მსხვილ ხუთკაპიკიანს.[22]

სამონეტო კომპლექსში შედის ეგზემპლარები შემდეგი თარიღებით: 1763, 1769, 1770, 1771, 1779, 1780, 1781, 1784. ყველა ეკატერინბურგის ზარაფხანაში მოიჭრა[23] (ზარაფხანის აღნიშვნა - EM).

განძის შემადგენლობა იძლევა მისი დათარიღების საშუალებას: ერთი მხრივ, ის არ შეიცავდა 1784 წლის შემდგომ მონეტებს; მეორე მხრივ კი, ცნობილია, რომ ეკატერინეს მძიმეწონიანი (ფუთიდან 16-რუბლის სამონეტო რიგის) ხუთკაპიკიანები 1796 წელს გადაჭედეს ორმაგი ღირებულების (თუმცა, იმავე წონის; ფუთიდან 32-რუბლის სამონეტო რიგის) ნომინალებად, ტახტზე პავლეს ასვლის შემდეგ კი, ასე ვთქვათ, უკუ-გადაჭედვის ფარგლებში, ისევ ეკატერინეს მძიმეწონიან (ფუთიდან 16-რუბლის სამონეტო რიგის) მონეტებად აქციეს; - ნაწილობრივ ახალი, ნაწილობრივ კი ძველი სიქების გამოყენებით.[24] განძის ყველა მონეტა ძველი სიქითაა მოჭრილი; გარდა ამისა, 1802 წლიდან რუსეთის იმპერიაში სულ სხვა ტიპის, თუმცა კი იმავე სამონეტო რიგის ხუთკაპიკიანები შემოიღეს.[25] აღნიშნულის გათვალისწინებით, სამონეტო კომპლექსს, მის ტეზავრაციას 1780-იანი წლებით დავათარიღებდით, უფრო II ნახევრით; ან, ყველაზე გვიან, 1790-იანი წლებით.

რუსული ხუთკაპიკიანების ახმეტის განძი უკიდურესად საინტერესო სამონეტო კომპლექსს წარმოადგენს. ყურადღებას იპყრობს ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მიერ მის ანექსიამდე ექსკლუზიურად *რუსული სპილენძის მონეტების* შემცველი განძის ტეზავრაციის ფაქტი.

საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე, სამეფოს არსებობის პერიოდში *სპილენძის* მონეტების ტეზავრაციის შემთხვევები (განსხვავებით ვერცხლის მონეტების მრავალრიცხოვანი განძებისგან) უკიდურესად იშვიათია.[26] განხილულია ამის მიზეზებიც (renovatio monetae ეროვნულ *საკრედიტო* სპილენძის მონეტასთან მიმართებაში, რაც ხაზინისთვის არსებით შემოსავალს უზრუნველყოფდა).[27] კიდევ უფრო იშვიათია *რუსული სპილენძის* მონეტების ტეზავრაციის შემთხვევები.

---

[22] შეად. Bernhard Brekke, *The Copper Coinage of Imperial Russia, 1700-1917* (Malmoe: Foerlagshuset Norder Ab, 1977), 109, 129-135.

[23] Василий Узденников, *Монеты России. 1700-1917* (Москва: Финансы и статистика, 1985), 448.

[24] Василий Узденников, "Перечеканка монет в XVIII в.", Василий Узденников, *Монеты России XVIII – начала XX века. Очерки по нумизматике* (Под редакцией доктора исторических наук А. С. Мельниковой) (Москва: Мир отечества, 1994), 99-102, 113-114, рис. VII-VIII.

[25] Brekke, *The Copper Coinage of Imperial Russia, 1700-1917*, 192, 211.

[26] ფაღავა, „ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)", 750.

[27] იქვე, 750-751.

საზოგადოდ, ვიცნობთ ამგვარ ორ სამონეტო კომპლექსს:[28]

1) 1906 წელს გორის უიეზდში აღმოჩენილი შერეული განძი: ირაკლი II-ის სირმა აბაზები; ირაკლი II-ის ორი სხვადასხვა ტიპის სპილენძის მონეტები - ორ- და ერთთავიანი არწივის გამოსახულებით; რუსეთის იმპერიის ხუთკაპიკიანები; ჩანს, ასევე, ორკაპიკიანებიც;

2) ირაკლი II-ის 1796 წლით დათარიღებული ბისტებისა და ნახევარ-ბისტებისგან შემდგარი სამონეტო კომპლექსი (იხ. ზემოთ, ამავე სტატიაში).

ირაკლი ფაღავას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „უცხოური სპილენძის საფასე ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ლეგალურ საფასეს არ წარმოადგენდა; მისი მიმოქცევის შეზღუდვა-აკრძალვა აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა საკუთარი, მნიშვნელოვანწილად საკრედიტო და, აქედან გამომდინარე, დიდი მოგების მომტანი სპილენძის ფულის გამოსაშვებად.“[29] ეს მსჯელობა ლოგიკურად გვეჩვენება, და, თითქოს დასტურდება ფაქტებით - ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოებში მოჭრილი თანადროული *სპილენძის* მონეტების აღმოჩენის ფაქტები საკმაოდ იშვიათია,[30] რომ აღარაფერი ვთქვათ შესაბამისი კომპლექსების პრაქტიკულად არარსებობაზე; გამონაკლისია ზემოხსენებული გორის უიეზდის განძი. აღნიშნულ კომპლექსთან დაკავშირებით ირაკლი ფაღავას გამოთქმული ჰქონდა ფრთხილი ვარაუდი: “თუ, ეს განძი, მაინც, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების, შესაძლოა, სპილენძით, როგორც ლითონით, ვაჭრობის ამსახველ სამონეტო კოპმლექსს წარმოადგენს და ქართლ-კახეთის სამეფოს შიგნით ფულად მიმოქცევას ნაკლებად ასახავს?”[31] პარალელური ანალიზისთვის შეიძლება მოვიშველიოთ მძიმე რუსული ხუთკაპიკიანების განძები თანადროული ბაქოს სახანოს ტერიტორიიდან.[32]

რუსული ხუთკაპიკიანების განძის აღმოჩენა სამეფოს სიღრმეში, რუსეთის იმპერიასთან დამაკავშირებელი დარიალის გზისგან შედარებით მოშორებით ერთგვარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზემოთ მოყვანილ კონცეფციას. ეს განძიც *უკვე მეორე შემთხვევითობად თუ გამონაკლისად* უნდა ჩაითვალოს?

ამასთანავე, მაინც, რთული დასაჯერებელია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლება უშვებდა სახელმწიფოს შიგნით რუსული სპილენძის საფასის, როგორც ანარიშსწორების ლეგალური საშუალების მიმოქცევას. ხომ არ შეიძლება ამ შემთხვევაშიც რუსული მონეტების ქართლ-კახეთის სამეფოში შემოტანა (შემდგომი ტეზავრაციით) არაეკონომიკურ პროცესებს დავუკავშიროთ, დავუშვათ რუსი სამხედროების მოქმედებას? ტეზავრაციაც ყოველთვის არ გულისხმობს, რომ საფასე ადგილობრივად მიმოიქცეოდა - შესაძლოა მეპატრონე ამ განძის ამოღების შემდეგ შესაბამისი მონეტების სამეფოდან *გატანას* გეგმავდა?

---

[28] იქვე, 750.

[29] იქვე.

[30] ძირითადად მეზობელი პოლიტიკური ერთეულების ქალაქური შავებია; პოვნის ერთეული შემთხვევების სახით.

[31] ფაღავა, *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე*, 229, #2, 240.

[32] Елена Синицина, *Денежное обращение Азербайджана (Гянджинского, Карабахского, Шемахинского, Бакинского, Дербентского, Кубинского ханств) во втор. пол. XVIII – перв. четв. XIX в*. Автореферат кандидатской диссертации (Баку, 1992), 107-110, 113, 120-121, #16-17.

საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს. მსჯელობისთვის სასურველია დამატებითი მონაცემების დაგროვება.

სამონეტო კომპლექსი VII: რუსეთის იმპერიის ორკაპიკიანების განძი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტიდან

2024 წლის გაზაფხულზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაუზუსტებელ ადგილას უპოვნიათ ყველაზე ცოტა 25 სპილენძის მონეტისგან შემდგარი განძი. ყველა მათგანი წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ორკაპიკიანს; კერძოდ, ალექსანდრე I-ის მიერ 1810 წელს შემოღებული ტიპის, უფრო მსუბუქი (24-რუბლიანი) სამონეტო რიგის მიხედვით გამოშვებულ მონეტას.[33]

სამონეტო კომპლექსში შედიოდა სხვადასხვა წლებში ორ ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები - ეკატერინბურგისა („E.M.“) და სუზუნის (კოლივანის ზარაფხანის აღნიშვნით - „K.M.“).[34] ეკატერინბურგის ზარაფხანა: 1812 (4 ეგზ.), 1813 (2 ეგზ., აქედან ერთი წარმოადგენდა სახესხვაობას თარიღის გადმოტრიალებული სამიანით); 1814 (2 ეგზ.), 1815 (8 ეგზ.), 1816 (4 ეგზ.), 1823, 1824 (2 ეგზ.), 1825. სუზუნის ზარაფხანა: 1819.

ყველაზე ახალგაზრდა (1824 წ.) მონეტის მიხედვით, განძის ტეზავრაცია 1820-იანი წლების მეორე ნახევარშია სავარაუდო.

განძის დაგროვება-ტეზავრაცია, შესაძლოა, ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროების განთავსებას უკავშირდებოდეს. გაგონილი გვაქვს მსგავსი ორკაპიკიანების აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც პოვნის შესახებ, ხშირად რუსეთის იმპერიის საჯარისო ნაწილების განლაგების ადგილებში.

სამონეტო კომპლექსი VIII: რუსეთის იმპერიის ორკაპიკიანების განძი თელავის მუნიციპალიტეტიდან

2022 წლის ზაფხულზე თელავის მუნიციპალიტეტში დაუზუსტებელ ადგილას უპოვიათ 17 სპილენძის მონეტა; ყველა რუსეთის იმპერიის, ალექსანდრე I-ის ორკაპიკიანს წარმოადგენდა (1810-1830 წლების, 24-რუბლიანი სამონეტო რიგის). 14 მონეტა ეკატერინბურგის ზარაფხანის ნაწარმს წარმოადგენდა („E.M.“), 3 კი, 1813, 1815, და 1817 წლებით დათარიღებული, - სუზუნის („K.M.“). განძის ტეზავრაცია 1810-იან თუ 1820-იან წლებში განხორციელდებოდა.

VII და VIII სამონეტო კომპლექსები XIX საუკუნის საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონების სამონეტო მიმოქცევას გვისურათებენ, კერძოდ, ადგილობრივ ფულად ბაზარზე რუსეთის იმპერიის სპილენძის საფასის შემოჭრის ფაქტს.

---

[33] შეად. Brekke, *The Copper Coinage of Imperial Russia, 1700-1917*, 192; Узденников, *Монеты России. 1700-1917*, 13.

[34] იქვე, 448.

გამოყენებული ლიტერატურა - References

ფაღავა ირაკლი. „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან). 94. Paghava Irakli. “New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)”. 206. *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი. მოხსენებათ თეზისები / International Congress of Caucasian Studies. Abstracts. თბილისი / Tbilisi, 3-5/X/2022.* [თბილისი:] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022.

ფაღავა ირაკლი. *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე.* თბილისი: მერიდიანი, 2023.

ფაღავა ირაკლი. „ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)“. *History, Archaeology, Ethnology. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია,* XI (2024): 739-759.

Brekke Bernhard. *The Copper Coinage of Imperial Russia, 1700-1917.* Malmoe: Foerlagshuset Norder Ab, 1977.

Синицина Елена. *Денежное обращение Азербайджана (Гянджинского, Карабахского, Шемахинского, Бакинского, Дербентского, Кубинского ханств) во втор. пол. XVIII – перв. четв. XIX в*. Автореферат кандидатской диссертации. Баку, 1992.

Узденников Василий. “Перечеканка монет в XVIII в.”. 95-124. Узденников Василий. *Монеты России XVIII – начала XX века. Очерки по нумизматике.* Под редакцией доктора исторических наук А. С. Мельниковой). Москва: Мир отечества, 1994.

Узденников Василий. *Монеты России. 1700-1917*. Москва: Финансы и статистика, 1985.

Узденников Василий. *Объем чеканки российских монет на отечественных и зарубежных монетных дворах. 1700-1917*. Москва: Малая Медведица, 1995.

ილუსტრაციები - Illustrations

2.1

2.2

2.3

2.4

2.5

2.6

2.7

2.8

2.9

2.10

2.11

2.12

2.13

2.14

2.15

2.16

2.17

2.18

4.1

4.2

4.3

4.4

4.5

4.6